ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დიდის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990 სამშაბათი 31 ივლისი №91 (10328) ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო.
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ,
ГОРОДСКОГО И РАИОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება

# სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ

ბოლო ხანს ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში ადგილობრივ ხელისუფალთა წაყრუებით იქმნება შეიარაღებული ფორმირებანი, რომლებიც არ შედიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო, შინაგანი, სარკინიგზო ჯარების და სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გასამხედროებულ ფორმირებათა შემადგენლობაში. ეს პროვოკაციულად იწვევს დაძაბულობას, ვითარების დესტაბილიზაციას, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს. ასეთ მოქმედებას თან სდევს იარაღის ხელში ჩაგდება, თავდასხმები სამხედრო მოსამსახურეებსა და მილიციის მუშაკებზე, სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო ობიექტზე, უკავშირდება სხვა მძიმე დანაშაულობათა ჩადენას, იწვევს მსხვერპლს სრულიად უდანაშაულო მოქალაქეთა შორის. არცთუ იშვიათად ამ ფორმირებებში იზიდავენ სისხლისსამართლებრივ ელემენტებს და პირებს, რომლებიც თავს არიდებენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევას ან დეზერტირობენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან.

იარაღის და ტყვია-წამლის ასაფეთქებელი ნივთიერებების, საბრძოლო ტექნიკის და სხვა სამხედრო ქონების ხელში ჩაგდებასა და მათი შეძენის სხვა მართლსაწინააღმდეგო ხერხებს ხელს უწყობს უპასუხისმგებლობა და ჯეროვანი წესრიგის უქონლობა მათი დაცვა-შენახვის ორგანიზაციაში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელ რიგ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში, სხვა სამინისტროთა და უწყებათა ორგანიზაციებში; იარაღის უკანონოდ დამზადება საწარმოებში, შეიარაღებულ ფორმირებათა დაფინანსება, მათთვის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა მიცემა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლისა და „სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ" სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნა განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით. სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ყოველგვარი მოქმედება ასეთ ფორმირებათა შესაქმნელად, მათი მიზნების მიუხედავად, უკანონოა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 127 (3) მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე ვადგენ:

1. სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი შეიარაღებული ფორმირებანი (შეიარაღებული გაერთიანებები, რაზმები, რაზმეულები, ქვეგანაყოფები და სხვა ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფები), რომლებიც გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირის კანონმდებლობით უკანონოა და უნდა დაიშალოს 15 დღის ვადაში ამ ბრძანებულების გამოქვეყნების მომენტიდან.

ამავე ვადაში ამ ფორმირებათა იარაღი, ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, საბრძოლო ტექნიკა და სხვა სამხედრო ქონება უნდა ჩაბარდეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს:

ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევებში ხელისუფლების რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, მათმა საუწყებო შინაგან საქმეთა ორგანოებმა, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა უნდა უზრუნველყონ ასეთი იარაღის, ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, ტექნიკისა და სხვა სამხედრო ქონების ჩამორთმევა; სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს შესაბამისმა ქვეგანაყოფებმა უნდა ჩაიბარონ ისინი შესანახად.

თუ აღნიშნულ შეიარაღებულ ფორმირებათა მოქმედება საფრთხეს უქმნის მოსახლეობისა და სახელმწიფოს უშიშროებას, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება აქვს გამოიყენოს შინაგანი ჯარები, ხოლო ცალკეულ ოპერაციებში ნებადართულია სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ქვეგანაყოფების მონაწილეობა.

2. ნებისმიერი ორგანოებისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებას, რომელთა მიზანია ადრე შექმნილი შეიარაღებული ფორმირებების შენარჩუნება ან ახალთა შექმნა, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირის კანონმდებლობით, არა აქვს იურიდიული ძალა და იწვევს პასუხისმგებლობას კანონის შესაბამისად.

3. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის პროკურატურამ ოპერატიულად უნდა გადაწყვიტონ ის საკითხები, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ უკანონო ფორმირებათა მონაწილენი, რომლებმაც ნებაყოფლობით არ ჩააბარეს არსებული იარაღი, იარაღის, საბრძოლო მასალებისა თუ ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო ტარების, შენახვის, შეძენის, დამზადების ან გასაღებისათვის.

სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებმა ამ საკითხებს უნდა დაუწესონ პირადი კონტროლი.

4. ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, ორგანიზაციებმა, რომლებსაც აქვთ ან ამზადებენ იარაღს, დაუყოვნებლივ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავს იარაღის, ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, საბრძოლო ტექნიკისა და სხვა სამხედრო ქონების უკანონო დამზადებას, ჩამორთმევას, დაუდევარ შენახვასა და დაკარგვას.

ის პირნი, რომლებმაც დაუშვეს იარაღის დაკარგვა ან გაყიდვა, პასუხისგებაში უნდა მიეცნენ კანონის შესაბამისად.

5. ამ ბრძანებულების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ პირადად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებს, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ამხ. ვ. ვ. ბაკატინს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ა. კრიუჩკოვს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს ამხ. დ. ტ. იაზოვს და მათ ადგილობრივ ორგანოებს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წელი 25 ივლისი

# ქალაქის განვითარების პრობლემები

დღეს პრობლემებზე წერით ვერავის გააკვირვებ. ნებისმიერ დონეზე ყოველგვარი შეკრება, თათბირი, სესია, კონფერენცია თუ სხვა ღონისძიება პრობლემებზე საუბრით იწყება და მთავრდება. საკავშირო თუ რესპუბლიკურ პრობლემებზე მსჯელობაში იმდენად ღრმად ვართ ჩართული, რომ ძალზე ცოტა დრო გვრჩება ქალაქის პრობლემებზე ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად. უმთავრესი საკითხი ქალაქ ზუგდიდისათვის, როგორც საქართველოს ყველა კუთხისათვის, ეს არის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მაგრამ არის საკითხთა წრე, რომლის დროულად მოუგვარებლობამ შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს მშრომელთა სოციალური ყოფის საკითხებზე. თავისუფალ საქართველოს სჭირდება თანამედროვე იერსახის მაღალგანვითარებული დიდი თუ პატარა ქალაქები.

ახლა მაინც ხომ დადგა დრო ქალაქი იქნება თუ სოფელი ვაშენოთ და განვავითაროთ ისე, რომ უახლოესი პერსპექტივისათვის მაინც იყოს გათვლილი ყოველივე ის, რაც უკავშირდება ადამიანის ცხოვრების პირობების რადიკალურად გაუმჯობესებას.

ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ქალაქის ხელმძღვანელობას განსახილველად გამოუტანია ესა თუ ის საკითხი, მაგრამ ჯეროვანი გამოხმაურება არ ჰქონია და მას თავისი გამართლება ჰქონდა. ვინმეს რამე თუ შეეშლებოდა, მას შეიძლებოდა, არასასიამოვნო შედეგი მოჰყოლოდა. ახლა კი ის დრო ისტორიას ჩაბარდა. ამჟამად თუ ვინმე გამოთქვამს სურვილს თავისი მოსაზრება წამოაყენოს, მას დიდი გულისყურით ეკიდება ქალაქის ხელმძღვანელობა. ამიტომაც ახლა რედაქციაში მოდის წერილების ნაკადი, რომელიც ქალაქის მომავალზე ფიქრითაა გამსჭვალული. შეიძლება ზოგი რამ სადაო და მიუღებელი იყოს, მაგრამ ვფიქრობთ ბევრი დასმული საკითხი გონივრულ განსჯას და ანალიზს მოითხოვს.

პირველი წერილი, ეძღვნება ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის პროექტს. იმედია ამ საკითხის ირგვლივ თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

მკითხველებს ვთხოვთ თვალყური ადევნონ ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის პროექტის ირგვლივ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ პუბლიკაციებს და მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრებანი.

დღევანდელი ნომრის მესამე გვერდს ვუთმობთ არქიტექტორ ზაურ ქურდღელიას. მკითხველი ნუ გაგვიგებს ისე თითქოს რედაქცია ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის პროექტის გამო ავტორის მიერ გამოთქმულ ყველა მოსაზრებას იზიარებდეს. მის მიერ დასმული ზოგიერთი საკითხი სადაო და საკამათოა. საქმეში ჩახედულმა სპეციალისტებმა, კომპეტენტურმა პირებმა უნდა გამოთქვან თავიანთი მოსაზრება რაში ეთანხმებიან ავტორს და რაში არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყურადღება არ მოვაკლოთ კადრებს

საწარმოო გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა „საქქაღალდმრეწვის" ყოველ საწარმოო თათბირზე ერთ-ერთი მთავარი საკითხია კადრების დენადობასა და კადრების მომზადებასთან დაკავშირებული პრობლემები.

„საქქაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების ძირითადი საწარმოო საამქროებში ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა მუშების დენადობის რიცხვმა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ არასაკმარისად წარმოებს ვაკანტური სამუშაო ადგილების შევსება ახალგაზრდა მუშებით. მუშახელის დეფიციტი ძალზე აძნელებს გაერთიანების მიერ საწარმოო გეგმების შესრულებას. ყველაფერ ამასთან დაკავშირებით გაერთიანების ძირითად საწარმოო საამქროებში მუშათა კადრების მიზიდვისა და დამაგრების მიზნით, წარმოების ადმინისტრაციამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებებისა კერძოდ: სანარდო ანაზღაურებაზე მყოფი საწარმოო ბრიგადების მოწაფეებს გაუდიდდეთ დამატებები პირველი თანრიგის სატარიფო განაკვეთებზე 50-60 მანეთით, რათა მოწაფის ხელფასმა მიაღწიოს 150 მანეთამდე.

30 წლამდე ახალგაზრდებს, რომლებიც პირველად იქნებიან მიღებულნი გაერთიანების ძირითად ტექნოლოგიურ საამქროებში, მიეცეს საშუალება მიიღონ უპროცენტო სესხი 1000 მანეთამდე, რომლის 50 პროცენტი დაფარული იქნება საწარმოს მიერ, ეს იმ შემთხვევაში, თუ მუშამ კეთილსინდისიერად იმუშავა 3 წელი, ხოლო თუ 5 წელი იმუშავა, აღნიშნული სესხი მთლიანად დაფარული იქნება გაერთიანების მიერ.

ახლო მომავალში 100 ოჯახზე დაიწყება საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

ძირითადი საწარმოო საამქროების წამყვანი სპეციალისტებისათვის ყოველ ახალ აშენებულ საცხოვრებელ სახლში გამოიყოფა ორი სამსახურებრივი სარგებლობის ბინა.

ორგანიზებულ იქნება კოლექტიური მებაღეობისათვის მიწის გამოყოფა წამყვანი სპეციალისტებისათვის მეურნეობა „ერგეტაში".

გაერთიანების ძალებით ორგანიზებულ იქნება ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურების დამზადება, მათი სხვა რეგიონებში კვების პროდუქტებზე გადაცვლის მიზნით.

აღნიშნულ და სხვა ღონისძიებათა შესრულების ვადები უნდა ჩაეტიოს 1990-91 წლებში. ამ საკითხების მოგვარება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი წარმოების მუშა-მოსამსახურეთა სოციალური ყოფის ამაღლებას. მათ კიდევ უფრო განაწყობს ნაყოფიერი, ეფექტიანი შრომისათვის.

ნ. ორბელი.

# ნუთუ ზრდილობა დაგვავიწყდა?

ისე როგორც მთელს საქართველოში, ზუგდიდშიც ათასგვარი პრობლემაა გადასაჭრელი. მისახედი. ყველაზე მთავარი კი რაც ყველას უნდა გვახსოვდეს, ისაა რომ ყოველ ქართველში უნდა იმძლავროს ურთიერთპატივისცემისა და სტუმართმოყვარეობის, ზრდილობის გრძნობამ, რომლითაც ტრადიციულად ცნობილი იყო ქართველი კაცი. მაგრამ ჩემო ძვირფასო თანაქალაქელებო რომელ სტუმართმოყვარეობასა და პატივისცემაზე შეიძლება ლაპარაკი იმ სურათის ხილვის შემდეგ, რაც ხდებოდა 1990 წლის 20 ივლისს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე.

ანსამბლების „ორერას" „პირამიდას" და „ოკეანეს" ზუგდიდში საგასტროლოდ ჩამოსვლის მაუწყებელი აფიშები დიდი ხნით ადრე აფრიალდა ქალაქის ქუჩებში, ზღვა ხალხი მიაწყდა სტადიონის სალაროებს, ერთ შესავლელ ბილეთზე იყიდებოდა შვიდი ერთგულების ლატარიის ბილეთი. ბოლო დღეებში კი მხოლოდ ერთგულების ლატარიის ბილეთები იყო გაყიდვაში. შედეგმაც არ დააყოვნა. სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, რადგან არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია სტადიონის კარებს გარეთ შეაჩეროს ის ადამიანი, რომელსაც შეძენილი აქვს ერთგულების ლატარიის ბილეთები. ერთი სიტყვით, 20 ივლისს 5 საათისათვის სტადიონის კარი ღია იყო ყველასათვის. არ ჰქონდა მნიშვნელობა ჰქონდათ თუ არა შესასვლელი ბილეთები. ასე აღმოჩნდა ჩვენი „ოდიშის" სტადიონი ბედის ანაბარა მიტოვებული. სტადიონზე კი აღმოჩნდა იმდენ მაყურებელზე საკმაოდ მეტი, რამდენიც ლატევაც ფიზიკურად შეეძლო მას. თუ კი სტადიონის ადმინისტრაციამ მოახდინა დაუგეგმავი რაოდენობის შესასვლელი ან ლატარიის ბილეთების გაყიდვა, ეს როდი ნიშნავდა იმას რომ მათ შეცდომაზე ჩვენც შეცდომითვე უნდა გვეპასუხა.

არა მგონია იქ მყოფთაგან მხოლოდ ერთს, მე მეგრძნო მთელი ქალაქის მოსახლეობისათვის იმ შეურაცხმყოფელი მოქმედების არსი, როცა ანსამბლ „ორერას" სიმღერა შევაწყვეტინეთ და თითქოს ხმათა უმრავლესობით გადავწყვიტეთ მოგვეწყო ერთგულების ლატარიის გათამაშება. თუმცა გამოსავალი არსებული სიტუაციიდან მაინც ვერ გამოინახა, რადგან სწორედ გათამაშების შემდეგ გაისმოდა ანსამბლ „პირამიდას" წევრთა თხოვნა „ძმებო, დებო, გთხოვთ, მცირედი მანძილით, გადაიწიოთ და მოგვეცით მუშაობის საშუალება", მაგრამ ამათი სტუმართა თხოვნის შესრულება არავის უფიქრია...

მართალია, სტადიონზე ანალოგიური შემთხვევები ფეხბურთის მატჩის მსვლელობისას საკმაოდ ხშირია. მაგრამ ფეხბურთის გულშემატკივრის მოქმედებას შეიძლება რაღაც გამართლება მოუძებნო და აპატიო კიდეც უტაქტო საქციელი, მაგრამ სტადიონზე კონცერტისთვის, ესთეტიკური სიამოვნებისთვის მოსულებს რაღა დაგვემართა? რა გვჭირს ზუგდიდელებს, როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე, როდემდის უნდა იყოს ზუგდიდი „თითით საჩვენებელი" ქალაქი, ნუთუ ზრდილობა დაგვავიწყდა?

თამარ ბერია,
სახელმწიფო სტატისტიკის ზუგდიდის საქალაქო განყოფილების ინჟინერ-პროპაგანდისტი.

ნორჩების ხელოვნება

# შთაბეჭდილება გაუნელებელია

ოცი დღე იმყოფებოდა ბულგარეთის რესპუბლიკებში ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული და ვოკალურ-ფოლკლორული ანსამბლი „ოდიში" (ხელმძღვანელები ნ. მამფორია, ზ. კანკია, ხალხური რეპერტუარის დამდგმელი ნ. მაქაცარია). ანსამბლის წევრები ქ. თბილისიდან გაემგზავრნენ უძველეს კიევში, დაათვალიერეს მისი ღირსშესანიშნაობანი, შემდეგ კი გეზი აიღეს ბულგარეთისაკენ. გულთბილად შეხვდნენ ბულგარეთში ზუგდიდელ ნორჩებს. „ოდიშელებმა" ბულგარელი მაყურებელს გააცნეს ეროვნული ფოლკლორისა და თანამედროვე ქართული საესტრადო მუსიკის ნიმუშები. კონცერტები გამართეს ქ. ალბინეში, შემდეგ კი თავიანთი ხელოვნება წარუძღვნეს ბალჩიკელ, ვარნელ, ტოლბუხინელ მსმენელებს.

უდიდესი სითბო და სიყვარული შემოაგებეს საქართველოდან ჩასულ სტუმრებს რუმინელებმა. ისინი უდიდესი მოწიწებით ეპყრობიან ჩვენი დიდი თანამემამულის—რუმინელი ხალხის განმანათლებლისა და ეროვნული აღორძინების უდიდესი ინიციატორის—ანთიმოზ ივერიელის წმინდა სახელს.

განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავდა რუმინელ მსმენელებში 9 აპრილისა და რუმინეთის რევოლუციის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმღერები. რუმინეთის სახელმწიფო ტელერადიოკომიტეტმა „ოდიშის" კონცერტი პირდაპირ გადასცა ეთერში. შემდეგ ჩვენმა ახალგაზრდებმა კონცერტები გამართეს ქ. მანგალიაში, იყვნენ საზღვაო პორტ კონსტანცაში, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა განუმეორებელი არქიტექტურითა და კულტურის ძეგლებით. „ოდიშის" ხელოვნებას ეცნობოდნენ რუმინეთში მყოფი უცხოელებიც, რომელთაც ძალზე მოსწონდათ ქართული მელოდიები. ანსამბლს თან ახლდა და-ძმა ქადარიების ტრიო, რომელთა მაღალი საშემსრულებლო კულტურა უდავოდ ფართო პროპაგანდის ღირსია. მადლიერმა მსმენელებმა გულწრფელი ტაშით, მადლობებით, საპატიო დიპლომებით დააჯილდოვეს ქართველი სტუმრები.

ზუგდიდელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა თბილისის გორკის სახელობის კულტურის სასახლის დირექტორის მოადგილე რ. ჩუთლაშვილი, რომელმაც გამორჩეული სითბოთი და ყურადღებით დაამახსოვრა თავი ყველას.

შთაბეჭდილება გაუნელებელია. კიდევ ერთი ლამაზი სამახსოვრო ფურცელი ჩაიწერა ბულგარელი და ქართველი, რუმინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის მატიანეში.

ნ. მამფორია,
მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგი, ანსამბლ „ოდიშის" ხელმძღვანელი.

# მელიორატორთა წვლილი

რაიონის წარმატებაში თავისი წვლილი შეაქვს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს (უფროსი მ. ბაღიშვილი) კოლექტივს.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შესრულდა 581 ათასი მანეთის სამუშაოები, რაც წლიური გეგმის 114 პროცენტია.

წინ არიან ანაკლიის, კოკი—ორსანტიის ჯიხაშკარის უბნების (უფროსები დ. ქუქავა, ფაჟავა, ა. უბირია) კოლექტივები.

დავალებას პირნათლად ასრულებს მექანიზებული რაზმი, რომელსაც ნ. მიმინოშვილი უძღვება. მექანიზატორები კვარაცხელია, შ. გვასალია, მ. ზავნი, მ. ბაგათურია გადამეტებით ასრულებენ ყოველდღიურ გეგმას.

# კოოპერატორთა სხდომაზე

წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რაიონული გაერთიანების საბჭოს (თავმჯდომარე ი. თორდია) სხდომამ ამასწინათ მოისმინა საკითხი ცალკეული კოოპერატივების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

სხდომამ განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება.

რაისაბჭოს აღმასკომს ეთხოვა განიხილოს საკითხი კოოპერატივების მუშაობაში არსებული ხარვეზების შესახებ. წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რაიონულ გაერთიანებას დაევალა სისტემატურად დაათვალიეროს კოოპერატივების სამუშაოების მიმდინარეობა და შედეგებზე დროზე წარადგინოს ინფორმაცია რაისაბჭოს აღმასკომში.

# სიტყვა ვეტერანზე

ენგურქაღალდკომბინატში მუშაობის 41 წელია დათარიღებული ვალიკო ყალიჩავას შრომის წიგნაკში. ამავე საწარმოში უწყვეტად შრომამ წარმოაჩინა კეთილსინდისიერი მუშა, ამიტომაც აფასებენ და პატივს მიაგებენ მას.

ქაღალდის წარმოების საამქროს საროლე განყოფილება ერთ-ერთი ძირითადი უბანია საწარმოში. აქ დასაქმებულ ადამიანებთან ტრიალებს იგი, პენსიონერი, რომელსაც მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი. მისგან იღებენ მაგალითს ახალგაზრდები.

იმ დღეს, როდესაც ვესტუმრეთ ამ უბანს მოცლა არ ჰქონდა ვეტერანს. იგი მოგვესალმა და ვეება „წისქვილებს" შორის გაუჩინარდა.

ლაბორანტი ნონა ჯოპავა და მთავარი ტექნოლოგი აკაკი ბელქანია საანალიზო ჟურნალში ჩანიშნულ მონაცემებს აკონტროლებდნენ.

მანქანა ქაღალდს ხევდა. ეძებდნენ მიზეზს. ცვლის ოსტატი ირაკლი ახალაია მერამდენედ ამოწმებდა საროლე განყოფილების კუთხე-კუნჭულს, მთავარი სპეციალისტები № 1 ქაღალდისმქეთებელი მანქანის

## სჯერა

საწნეხ და საშრობ განყოფილებებს არეგულირებდნენ, ეძებდნენ მიზეზებს.

ასეთ დაძაბულ სიტუაციაში ჩვენთვის ვერ მოიცალა მუშამ. ცვლის დასასრულს ყველაფერი რიგზე იყო. ახლა კი მოიბოდიშა ბატონმა ვალიკომ. დილის შემდგომ პირველად ჩამოჯდა ჩვენთან და ოფლით დაცვარული სახიდან გამოკრთა მისი ადამიანური ღიმილი.

საწარმოო საკითხებზე შეკითხვები ზედმეტად მივიჩნიეთ, რამე თუ მისი პროცესის უტყუარი მოწმეც თავად გახლდით.

ჩვენს საუბარში გამოიკვეთა, რომ მას დღემდე შრომის ვეტერანის მედალიც არ მიუღია. რას მივაწეროთ? უგულისყურობას, სხვას არაფერს ალბათ.

—ჯილდოებს ვინ ჩივის. მე მუშა კაცი ვარ და ჩემებურად ვსაზღვრავ ამჟამინდელ მდგომარეობას,—ამბობს იგი— ცნობილმა მოვლენებმა ცხოვრება უფრო საინტერესო გახადა. გაიზარდა ხალხის პოლიტიკური აქტივობა ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით, ამას მოჰყვა მთელი რიგი აქციები, რამაც განაპირობა ის, რომ პოლიტიკური აქტივობის ზრდა ძირითადად მოხდა ეკონომიკის ჩამორჩენის ხარჯზე. ის დიდი მიზნები, რაც დასახული გვაქვს ქართველებს უნდა განვახორციელოთ პირველ რიგში ეკონომიკური დამოუკიდებლობით, რაც მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომით მიიღწევა.

—ჩვენი წარმოება მრავალეროვანი კოლექტივია. საერთო სატკივარმა უნდა შეადუღაბოს ჩვენთან მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი.

ვეტერანს სჯერა საქართველოს მომავლისა, სჯერა, რომ მისი შვილები და შვილიშვილები იცხოვრებენ თავისუფალ საქართველოში.

ა. ფაჩუაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალაქის განვითარების ახალი გენერალური გეგმა

თვალსაზრისი

## რამდენად მისაღებია ავტორთა მიერ შემოთავაზებული კონცეფცია

ამას წინათ ქ. ზუგდიდში შედგა ქალაქის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გენერალური გეგმის განხილვა, რომელიც დაამუშავა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“.

ამ სტატიაში შევეცდები გადმოვცე პირადი თვალსაზრისი ამ გენერალური გეგმის ძირითად კონცეფციაზე, გავაკეთო შეძლებისდაგვარად მოკლე, ზოგადი ანალიზი დამუშავებულ მასალაზე.

ქ. ზუგდიდის პირველი გენერალური გეგმა, როგორც ჩემთვისაა ცნობილი დამუშავებული იქნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში, და დაცულია ლენინგრადის ერთ-ერთ საარქივო დაწესებულებაში. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში პირველი გენერალური გეგმა დამუშავებულ იქნა 1956 წელს, რომლის გავლენა ქალაქს სამწუხაროდ არ დატყობია და ფიზიკურად მისი არსებობაც უცნობია (არსებობს მხოლოდ ფოტომასალა). შემდგომ დროის მოთხოვნის დონეზე ახალი გენერალური გეგმის დამუშავება საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის“ მიერ მოხდა 1977 წელს, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა თითქოს სამი წლის მოგვიანებით. ამ გეგმაში მთლიანად აისახა ქალაქის განვითარების ძირითადი მიმართულებანი, რომელიც ამ დოკუმენტს მოეთხოვება და შეფასებულ იქნა საკმაოდ მაღალი დონის ნამუშევრად. მხოლოდ ქალაქის საბჭოს მოთხოვნით მასში არსებული ზოგიერთი ხარვეზების გამოსწორების (გათვალისწინების) პრინციპულმა მოთხოვნამ გამოიწვია მისი დამტკიცება დამუშავებიდან მეტად მოგვიანებით 1980 წელს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ხარვეზები არ გასწორებულა და მთელ რიგ ასპექტში ახალ გენერალურ გეგმასაც თან გამოყვა.

ქალაქში როგორც ადამიანის საქმიანობის ხელოვნურ გარემოში უნდა იყოს განსაზღვრული ფუნქციონალური, ესთეტიკური, ეკონომიკური წინამძღვარი მისი ფორმირებისათვის და აქედან გამომდინარე იგი უნდა ქმნიდეს მუშაობის, ყოფის, დასვენების და თავისუფალი დროის პრობლემების გადაჭრის საუკეთესო პირობებს. ამ საკითხების, რაც შეიძლება კონკრეტულ შემთხვევისათვის რეალიზების სწორი გათვლით, 20-25 წლის პერიოდისათვის იქმნება ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტული გენერალური გეგმა. ისმება კითხვა თუ ქალაქის გენერალური გეგმა დამტკიცდა 1980 წელს კვლავ ხუთიოდე წლის შემდეგ რატომ დაისვა საკითხი ახალი გეგმის დამუშავების? გვაძლევს თუ არა ახალი გენერალური გეგმა ქალაქის შემდგომი განვითარების წინანდელზე უფრო რეალურ და საინტერესო გადაწყვეტას, ვიდრე არსებული. შევეცდებით შეძლებისდაგვარად ვუპასუხოთ ამ კითხვებს.

როგორც ჩემთვის ცნობილია ძირითადი მიზეზი ახალი გენერალური გეგმის დამუშავების ის იყო, რომ ქალაქის განვითარების დამტკიცებულ გენერალურ გეგმაში კონკრეტულად არ იჯდა ქარხანა „ვექტორის“ (დღევანდელი „მედპლასტის“ მშენებარე ქარხანა) და „პროგრესის“ მშენებლობის საკითხი. ყოფილი გენერალური გეგმა მათ მაგივრად წარმოდგენილი იყო სხვა სამრეწველო ობიექტის (ჩარხმშენებელი, პოლიგრაფიული, მანქანათმშენებელი ქარხნები) ხარჯზე. რომელთა მომსახურებაზე დაკავებული იყო შედარებით ნაკლები მომსახურე პერსონალი, მაგრამ სხვაობა ქალაქის საერთო განვითარების სიდიდეზე პრინციპულ გავლენას ვერ ახდენდა. ხოლო მთელი რიგი ტერიტორიები, რომელიც ქალაქის ფარგლებში ჯერ კიდევ მაშინ, გენერალური გეგმის დამტკიცებამდე უნდა შესულიყო, არ შესწორებულა და თავისთავად მასში არც ასახულა.

იმისათვის, რომ მკითხველს საშუალება ქონდეს გააანალიზოს თუ რომელი გენერალური გეგმა უფრო ქმნის საუკეთესო პირობებს ადამიანის შედარებით სრულყოფილი საქმიანობისათვის, რომლის შემცველია ქალაქის რთული ორგანიზმი, მის ინფრასტრუქტურის განვითარებიდან გამომდინარე შევეცდებით მოვახდინოთ მთელი რიგი მოკლე, მაგრამ პრინციპული შედარებები შრომის, ყოფის და დასვენების საკითხების გადაწყვეტისადმი ურთიერთ მიდგომაში.

არსებული გენერალური გეგმით ქალაქის განვითარება ხდებოდა დასავლეთის მიმართულებით მდ. ჩხოუშის და რკინიგზის ხაზს შორის მოქცეული ტერიტორიის ხარჯზე, მისი ძირეული რეკონსტრუქციით და იმ ახალი თავისუფალი ტერიტორიის ათვისებით, რომელიც ოქტომბრისა და რუსთაველის ქუჩების შემაერთებელი ახალი მაგისტრალური გზის ირგვლივ მდებარეობდა (მაგისტრალური გზა ამჟამად გაყვანილია). ასევე იქმნებოდა ახალი საცხოვრებელი ზონა №1 ავტოსატრანსპორტო კანტორის (პუშკინის ქუჩა) უკან მდებარე თავისუფალი ტერიტორიის ათვისების ხარჯზე. რომლის ზონაში ასევე, ძირითადში ხდებოდა ახალი სამრეწველო ზონის შექმნა. აქ სამრეწველო და საცხოვრებელი ტერიტორიების პარალელურად განვითარება ხელსაყრელს ხდიდა სატრანსპორტო კავშირებს, როგორც მათ შორის, ასევე ქალაქთანაც. ამ ტერიტორიაზე გაყვანილი მაგისტრალური გზის, ზემოთ ნახსენებ გზასთან შეერთებით იქმნებოდა ქალაქის ცენტრის ტრანსპორტისაგან განთავისუფლების კარგი პირობები. საბოლოო ჯამში კი სატრანსპორტო გზის გადატანა გათვალისწინებული იყო საკავშირო რკინიგზის ხაზის პარალელურად, რომელიც დაიწყებოდა სოფელ ხამისკურთან, გაივლიდა ინგირის სადგურს და სოფელ ჭუბურხინჯთან შეუერთდებოდა საკავშირო მაგისტრალურ საავტომობილო გზას. საბოლოოდ ერთ დროს სატრანსპორტო გზის ამ მიმართულებაზე გადატანის ალტერნატივობა არსებულ გენერალურ გეგმაზე აშკარად ჩანს და ქალაქის განვითარებაც ინგირის მიმართულებით სხვა დადებით ფაქტორებთან ერთად თავის დროზე ერთადერთ სწორ მოსაზრებად იქნა მიღებული.

გენერალური გეგმით აეროდრომის გადატანა გათვალისწინებული იყო სხვა ტერიტორიაზე. დასვენების ზონა ეწყობოდა მაცხოვრის გორის გადაღმა. ეს არის ყველაზე მოკლედ ის ფუნქციონალური ზონირება და სტრუქტურული აგებულება, რომელიც არსებულ გენერალურ გეგმაში იყო ჩადებული.

ამჟამად შემოთავაზებული გენერალური გეგმა უარყოფს ქალაქის განვითარებას ინგირის მიმართულებით და გვთავაზობს ავტორების სიტყვიერი განმარტებით შემდეგ გადაწყვეტას: „პროექტით (გენერალური გეგმით) გათვალისწინებულია „ფუნიკულიორის“ მიმდებარე ტერიტორიის ორგანულად შერწყმა ქალაქის განაშენიანებასთან. ქალაქთმშენებლობის პირველი რიგის სამუშაოები რთული რელიეფის გამოყენებით დანიშნულია სწორად ამ მიდამოებში. აქ შეიძლება განთავსდეს, როგორც ინდივიდუალური საცხოვრებელი, ისე ტერასული ტიპის 3-4 სართულიანი სახლები. მოცემული უბნის განაშენიანებით მიღწეული უნდა იქნას განაშენიანების მაღალმხატვრული სივრცით კომპოზიციური გამომსახველობა“. ასევე... „რაც შეეხება მეორე რიგის განაშენიანებას ამ მიზნით გენერალური გეგმის პროექტით გამიზნულია ორი ზონის გამოყოფა. აქედან ერთი ზონა წარმოადგენს რეკონსტრუქციის ზონას და მოიცავს ოქტომბრის ქუჩას და მდ. ჩხოუშიას შორის, ჩაის და აბრეშუმის ფაბრიკებით დაკავებულ ტერიტორიას. მეორე ზონას კი შეადგენს ქალაქის ცენტრალურ რაიონში ჩაის პლანტაციით დაკავებული ტერიტორიები“ და კიდევ „გენერალური გეგმის პროექტით არსებული ცენტრი უნდა განვითარდეს ორი მიმართულებით. პირველი: ქალაქის საზოგადოებრივი ცენტრი განვითარდება განივი მიმართულებით, დადიანების პარკის პარალელურად, დასავლეთიდან აღმოსავლეთით „ფუნიკულიორამდე“. მეორე განვითარება მოხდა სამხრეთის მიმართულებით ოქტომბრის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიების ჩათვლით““.

პროფესიონალ ავტორს სრული უფლება აქვს ქონდეს ასეთი კონცეფცია, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის, რომ ყველა ეს ვარიანტი არცერთი ანალიზით არ იძლევა არსებულ გენერალურ გეგმაში ჩადებულ გადაწყვეტასთან რაიმე უპირატესობას. ვთქვათ ქალაქის ცენტრის რკინიგზის სადგურის მიმართულებით განვითარების უარყოფა, მით უმეტეს როცა პერსპექტული სატრანსპორტო კავშირი ქალაქის ცენტრალურ მოედანსა და სადგურს შორის შენარჩუნებულია. რომლის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი იქნება ბულვარის გამონთავისუფლება ტრანსპორტის მოძრაობისაგან, რაზეც ჩვენი გაზეთი რამდენიმე ხნის უკან საკმაოდ ბევრს წერდა. ჩემი აზრით, არსებული გენერალური გეგმის მიხედვით ქალაქის ინგირის მიმართულებით განსავითარებლად ჩატარებულმა მაღლივი სახლების შერჩევით თავისუფალ ტერიტორიებზე გაშენებამ და ამით ქალაქისათვის მაღლივი აქცენტების შექმნამ სასიამოვნო სივრცით აღქმის საინტერესო გადაწყვეტა მოგვცა. ამ მიმართულებით ამ მხარეს, ახალი აქცენტების შექმნა მხოლოდ საინტერესოს გახდის ქალაქის სივრცით ხედს. განსაკუთრებით კი მეტად უცნაურად ჩანს ზემოთ ნახსენები ოქტომბრისა და რუსთაველის ქუჩების შემაერთებელი მაგისტრალური გზის მიმდებარე თავისუფალ ტერიტორიებზე ინდივიდუალური განაშენიანების განვითარების წინადადება. ეს ტერიტორია არსებული გენერალური გეგმით გათვალისწინებული იყო ქალაქის პირველი რიგის მაღლივი განაშენიანებისათვის. შეიძლება ითქვას ეს ერთადერთი თავისუფალი ტერიტორიაა, რომელიც ქალაქის საზღვრებში 1980 წელს შემოვიდა და მას მეტი გაფრთხილება სჭირდება. ჩემი აზრით ეს ტერიტორია ქალაქის განვითარებისათვის მეტად სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია და იგი მთლიანად უნდა იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ იმ დანიშნულებით, რომელიც არსებულ გენერალურ გეგმაშია ჩადებული და რეალობების გათვალისწინებით ქალაქისათვის მხოლოდ ამ ტერიტორიის განაშენიანებას ზედმიწევნით მოუხდება ახალი გენერალური გეგმის ავტორების ზემოთ მოყვანილი სიტყვები... „მოცემული უბნის განაშენიანებით მიღწეული უნდა იქნას განაშენიანების მაღალმხატვრული სივრცით კომპოზიციური გამომსახველობა“. პირადი თვალსაზრისით ამ ტერიტორიაზე უნდა შეჩერდეს მიწისნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური და წვრილმანი სახის მშენებლობებისათვის. მის ფაქტიურ მფლობელებს აუნაზღაურდეთ რეალური დანახარჯები, გამოეყოთ მათ სხვაგან ახალი ნაკვეთები და ყოველნაირად ხელი შეეწყოთ ახალ ადგილას მშენებლობათა განხორციელებისათვის. საქალაქო საბჭომ და რაისაბჭომ კი სათანადო დონეზე დაუყოვნებლივ უნდა იმსჯელოს ამ საკითხის ირგვლივ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ახალი გენერალური გეგმის ავტორებს შენარჩუნებული აქვთ ქარხანა „ვექტორის“ წინამდებარე ტერიტორიაზე კომუნალურ საცხოვრებელ რაიონად მოწყობის გადაწყვეტა და არსებულ გენერალურ გეგმასთან შედარებით ღებულობენ ერთადერთ სწორ გადაწყვეტას ამ მიკრორაიონის ქალაქის ცენტრთან უმოკლესი გზით დაკავშირების საკითხში. ამ გადაწყვეტით ისინი უარყოფენ არსებული ამ უბნის დეტალური დაგეგმარების პროექტის პრინციპულ სტრუქტურულ გადაწყვეტას თუმცა ვერც ბოლომდე დაუღწევიათ მისგან თავი, როცა ამ უბნისათვის არ ითვალისწინებენ აუცილებელ სარეკრეაციო ზონის შექმნას, რომელიც ბევრ სხვა მომენტებთან ერთად რაც ამ ტერმინშია ჩადებული ასევე დააცილებდა ქარხნის ტერიტორიას დასახლების ზონის ტერიტორიიდან. შეიძლება საკითხი გენერალურ გეგმასთან არ იყოს დაკავშირებული, მაგრამ ამ უბნის უკვე არსებული დასახლების პროექტი გათვლილი საბოლოო ჯამში 11 ათას მოსახლეზე მოითხოვს გადახედვას და ამაში არსებული კიდევ რამდენიმე ხარვეზზე მსჯელობას და საბოლოო გადაწყვეტას, რათა ამ უბნის საბოლოო განაშენიანებით მანდ მცხოვრებ ადამიანებს მართლაც ქონდეს ყოველმხრივ საუკეთესო პირობები, როგორც ცხოვრების, ასევე დასვენებისათვის, რასაც ჩემი აზრით არსებული პროექტი თავისი გადაწყვეტით ვერ პასუხობს: ახალი გენერალური გეგმის ავტორები პრინციპში მხოლოდ აქ ითვალისწინებენ, მომავლისათვის მთლიანად ქალაქის კომუნალური საცხოვრებელი რაიონის შექმნას, რაც ჩემი აზრით მცდარია, რამე თუ ეს სამოსახლო ზონა უნდა დაეთმოს მხოლოდ ამ მხარეში არსებული სამრეწველო ზონის საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ისე როგორც ეს დღემდე იყო გათვალისწინებული.

არ მიგვაჩნია სწორად როცა გვთავაზობენ ამ სამრეწველო ზონის ტერიტორიის მკვეთრ შეკვეცას და მის მაგივრად ახალი ზონის განვითარებას ქალაქის ჩრდილო აღმოსავლეთ მხარეში არსებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნის გაგრძელებაზე თუ მის მიდამოებში: ჯერ ერთი ეს მეტად გაართულებდა ამ ზონის ქალაქთან კავშირს და მეორეც ეს ტერიტორიები სასოფლო სამეურნეო სავარგულებს წარმოადგენენ, მაშინ, როცა არსებული გენერალური გეგმით ქალაქის ასეთ სიახლოვეს მონიშნული სამრეწველო ზონის ტერიტორია ყოველნაირად აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ პრინციპულ მოთხოვნებს.

გენერალური გეგმის ავტორებს ქალაქიდან გააქვთ მთელი რიგი სამრეწველო ობიექტები, როგორიცაა ჩაის საწნეხი ფაბრიკა, მექანიკური სარემონტო კომბინატი, საკონსერვო და ლუდის ქარხანა, საავტომობილო ტრანსპორტის გარაჟები და სხვა, მაგრამ ადგილზე ტოვებენ მაგალითად სოფლტექნიკას. გენერალურ გეგმაში არ ჩანს ტერიტორიის რა რაოდენობა დასჭირდება მათ ახალ ადგილას ან სად ვათავსებთ მათ სამრეწველო ზონაში. ჩემი აზრით როგორც ეს არსებულ გენერალურ გეგმაშია, ქალაქიდან უნდა გავიდეს საავტომობილო გარაჟები, მაგრამ პრინციპში შენარჩუნებულ უნდა იქნეს სხვა არა მავნე სამრეწველო ობიექტები, რამე თუ ისინი ქალაქის ცხოვრებაში რაიმე დისონანსს შემომტანი არ არიან და ქალაქთმშენებლობის პრინციპი, რომ სამრეწველო ობიექტები ცალკე უნდა მდებარეობდეს— საცხოვრებელი უბნებიდან, პრაქტიკული არა მგონია ამ შემთხვევისათვის აუცილებლად დღის წესრიგში იყოს დასაყენებელი. ამ სამრეწველო ობიექტებს დღეისათვის და ალბათ საბოლოო ჯამშიც ის დიდი უპირატესობა აქვთ, რომ მასში მომუშავეთა 80 პროცენტზე მეტი მის ირგვლივ მიმდებარე უბნის მცხოვრებლები არიან. მათი მოძრაობა არ ართულებს ისედაც მეტად დაბალ დონეზე არსებულ საქალაქო კავშირ-ურთიერთობას, იგი მოხერხებულია და ქმნის დროის დიდ ეკონომიას და სხვა. მით უმეტეს გაკვირვებას იწვევს ავტორთა წინადადებები ქალაქიდან ჩაის საწნეხი ფაბრიკის და მექანიკური კომბინატის გატანაზე და გამონთავისუფლებული ტერიტორიის ინდივიდუალური სამოსახლო ნაკვეთებად განაწილებაზე. ცოტა არ იყოს ეს ხომ მეტად ზღაპრულად ჩანს.

ზაურ კურდღელია,
არქიტექტორი.

(დასასრული მორიგ ნომერში).

# კანონი მსჯავრს დებს

## მიზეზი ისევ ალკოჰოლია

ჩვენს წინ დევს სასამართლოს განაჩენი, რომლის გაცნობა მეტად მძიმე, უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ მასალებიდან იკვეთება დანაშაულებრივი სიუჟეტი, რომლის მთავარ მოქმედ „გმირად" ცალკეულ პირებთან ერთად გვევლინება მრავალ უბედურებათა პირველმიზეზი და წყარო— ბახუსი. სახეზეა იმის უტყუარი მაგალითი, თუ რა შეიძლება მოყვეს ალკოჰოლთან ზედმეტ გაშინაურებას, უნებისყოფობას და წინდაუხედაობას. ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით იმაში, რომ სიმთვრალეს ლანდივით თან სდევს საბედისწერო შემთხვევა. საქეს ჩაფრენილი ნასვამი კაცი თვით ხდება სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის წყარო.

რომელ შემთხვევაზეა საუბარი. რა არის საბაბი ამდაგვარი მორალური შეგონებისა?—იკითხავს მკითხველი. ამიტომ, უშუალოდ საბედისწერო ავარიის ფაბულაზე გადავიდეთ:

— მიმდინარე წლის რვა აპრილს განსასჯელი კახაბერ კაკაჩია იმყოფებოდა ძმის სახლში. ამ დროს მას შემოესმა ჩხუბის ხმა მეზობლის, ჟანჟაკ წურწუმიას სახლიდან, გადავიდა რა მათთან, ნახა, რომ მთვრალ მდგომარეობაში მყოფი წურწუმია ყვიროდა, ჩხუბობდა, უნდოდა მანქანით წასვლა, და რადგან გასაღებს ოჯახის წევრები არ აძლევდნენ, იმუქრებოდა, მანქანას დავწვავო. როცა კ. კაკაჩიას თვალი მოკრა, იმედი ჩაესახა. თხოვა მას მანქანის საჭესთან დამჯდარიყო, თუმცა კარგად იცოდა, რომ მართვის უფლება არ გააჩნდა. მოქალაქე კ. კაკაჩიამ არ გააწბილა მთხოვნელი და... რამდენიმე წუთში „ვაზის" მარკის ავტომანქანა მათ სოფელ ცაიშისკენ მიაქროლებდა, სადაც ერთი ჩახლართული საქმე უნდა „გაერჩიათ".

მოგვიანებით, საქმის გამოძიებისას გაირკვა ასეთი მომენტიც: კ. კაკაჩია მართავდა ჟ. წურწუმიას ავტომანქანას, რომელიც მოქალაქე გაბისონიას სახელზე იყო გაფორმებული. თანაც მანქანაზე ხმოვანი სიგნალი არ მუშაობდა და ფაქტიურად მისი ექსპლოატაცია აკრძალული იყო. მაგრამ მისი უდიდებულესობა ბახუსი და მის მიერ შეგულიანებული თვითნებობა ამისთანა „წვრილმანებს" რას დაგიდევს? და უბედურმა შემთხვევამაც არ დააყოვნა. სოფელ ურთის გზაზე კ. კაკაჩიამ დაარღვია გზებზე მოძრაობის წესები და მანქანა დააჯახა გზის მარცხენა გვერდულზე მდგომ, ურთის მცხოვრებ დემურ ტურავას. ეს უკანასკნელი იქვე შეკრებილი ხალხის და თვით კ. კაკაჩიას მიერ წაყვანილ იქნა ქ. ზუგდიდის ცენტ[illegible] ბლიკურ საავად[illegible] მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მართლმსაჯულებამ სათანადო ობიექტურობითა და სიზუსტით გამოიკვლია დანაშაულთან დაკავშირებული ყველა გარემოება. საბოლოო სიტყვა ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ თქვა. ჟანჟაკ წურწუმიას მიესაჯა ოთხი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

კახაბერ კაკაჩიას კი შვიდი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ჯ. თელია.

---

რედაქტორი
ა. ჭანტურია.

---

**სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აცხადებს** მოსწავლეთა მიღებას 1990-1991 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

**სახალხო მეურნეობის დარგების ეკონომიკა და დაგეგმვა სოფლის მეურნეობის განხრით პირველ და მეორე კურსზე.**

**საბუღალტრო აღრიცხვა, სამეურნეო საქმიანობის კონტროლი და ანალიზი (1-ლი კურსი).**

**აგრონომია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სპეციალიზაციის (მე-2 კურსზე).**

პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, ხოლო მეორე კურსზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, საშუალო პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები.

სწავლების ვადა დაგეგმვის და საბუღალტრო აღრიცხვის 9 კლასის ბაზაზე. 2 წელი და 10 თვე. დაგეგმვის საშუალო სკოლის ბაზაზე 1 წელი და 10 თვე. აგრონომიული სპეციალობის საშუალო სკოლის ბაზაზე 2 წელი და 10 თვე.

პირველ კურსზე შემსვლელები აბარებენ მისაღებ გამოცდებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში —წერა (წაკითხული ტექსტის შინაარსი. მათემატიკაში —ზეპირი.

მეორე კურსზე შემსვლელები ქართულ ენასა და ლიტერატურაში —წერა (თხზულება), მათემატიკაში (ზეპირი).

აგრონომიულ სპეციალობაზე ჩარიცხვა მოხდება „უგამოცდოდ".

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებულნი, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის (9 კლასის ბაზაზე) წარჩინების დიპლომის მქონე კურსდამთავრებულები.

გასაუბრების შედეგად ჩაირიცხებიან 9 კლასდამთავრებულები წარჩინების მოწმობით, კონკურსის შემთხვევაში კი ისინი აბარებენ გამოცდას ერთ საგანში (მათემატიკა).

მისაღები გამოცდების დამაკმაყოფილებლად ჩაბარების შემთხვევაში უკონკურსოდ ჩაირიცხებიან:

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულნი, რომელთაც აქვთ რეკომენდაცია სამხედრო ნაწილიდან ან ცნობა სამხედრო კომისარიატიდან შეღავათებზე.

ბავშვობიდან პირველ და მეორე ჯგუფის ინვალიდები, რომელთაც ექნებათ საექიმო დასკვნა, რომ მათ უფლება აქვთ ისწავლონ აღნიშნულ სპეციალობაზე, ობლები და მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილნი.

მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით ახალგაზრდები, რომლებსაც ატესტაციაში აქვთ შეფასება „4" და „5" აბარებენ მისაღებ გამოცდებს.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება არასრული საშუალო სკოლის მოწმობა, საშუალო სკოლის ატესტატი, პროფესიულ-ტექნიკური განათლების დიპლომი, სამედიცინო ცნობა (ფორმა №086 უ), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან. დამოწმებული ადმინისტრაციის მიერ (ეხება იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მუშაობის სტაჟი). ოთხი ცალი ფოტოსურათი (უქუდოდ ზომა 3X4). პასპორტი, დაბადების მოწმობა, სამხედრო ბილეთი, მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთები მიიღება 1 აგვისტომდე. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქეები 30 წლამდე.

გამოცდები ჩატარდება 15 აგვისტოდან. სწავლება დაიწყება პირველ სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში ყოველდღე (გარდა კვირისა) 9 საათიდან 15 საათამდე.

**მისამართი: ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. №194, ტელეფონები 2—14—38, 2—14—43, 2—19—98.**

**ტექნიკუმის დირექცია.**

---

მეუღლე იროდი, შვილები გოჩა გულნარა, დალი, ასმათი ჭაფანძეები, ძმები პანტე, გვაძი, და მერი ბიგვავები. სიძეები: რეზო მიქაია, ტარიელი მიქავა, ბესიკ ვერგუნოვი, ვალერი შონია, შვილიშვილები: რომანი. რომეო მიქაიები, ფრიდონი, დარეჯანი მიქავები, მაზლი ვალოდია გაბელია. მული ქუჩუჩი ჭაფანძე. რძლები: ნინა გაბელია. თინიკო ბიგვავა. ელვა ბიგვავა. მამიდა მარუსია თოდუა. მზახლები: ცინო. შალვა მიქაიები. მარგო. ვალოდია ვერგუნოვები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გული იასონის ასულ ბიგვავა-ჭაფანძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 აგვისტოს სოფ. განმუხურში.

---

ქალაქის №2 საშუალო სკოლის 1980 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

**გია კუკურის ძე ბულიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: ნანული. ამალია. ირა. ხათუნა, სოსო ცირდაავები, რძალი ნანი ბულია. სიძეები: ალექსანდრე სანიკიძე. რეზო ლურწკაია. ჯონი ფიფია. ლიმერი შენგელია. შვილიშვილები: მაია. ეკა სანიკიძეები. რევაზი. ნანა ლურწკაიები. ბაკური ფიფია. თეა. მარიკა თათია შენგელიები. შოთიკო. სოფიკო ცირდავები იუწყებიან **ვენერა პავლეს ასულ გაბედავა-ცირდავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 აგვისტოს ს. მუხურში (ჩხოროწყუს რაიონი).

---

შვილები რეზო. ჭუტა. ნაზო და სოსო. რძლები: ქუჩუჩი. და ია. შვილი: ლულუნი კვირტია. სიძეები ვანია ფანცულაია ბოჩო ყუფუნია, შვილიშვილები: ტარიელი, ნატო. ბელა. ელისო ქანთარიები, თორნიკე. რომეო. დემიზი ყუფუნიები, შაქრო, გიზო. გურამი. რაია, ძაბული ფანცულაიები, დისშვილები: დავით გოგოხია, რევაზ ბაძალუა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ოლია ესტატის ასულ დგებუაძე-ქანთარიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 4 აგვისტოს. დაკრძალვა 5 აგვისტოს სოფ. ახალსოფელში.

---

დედა ლულიკო. მამა ვანო. ძმა როინი, ბებიები: ვერა. ვალიშა, ბიძები: ჟორჟი ძაძუა. მარდონი. გოხელი, გივი ერემაძეები. ჟორჟი ჯინჯოლავა. გენო მაკაცარია. დიმონი ზარანდია, მამიდები: გოგოლა. თამარა. დეიდები: ქრავაშა. მზევინარი. ნინელა. ბიძაშვილები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**როზეტა ვანოს ასულ ძაძუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 აგვისტოს. დაკრძალვა 4 აგვისტოს. გამოსვენება ახალსოფელი. ლენინის ქ. 44.

---

მეუღლე ციური. შვილები: მამუკა. ბადრი, და ვალია, ძმა ბიძინა, რძლები: ნანი თოდუა, მარინა ნაჭყებია, ბელოჩქა ქარდავა, შვილიშვილები: თამარი, ნატი. სალომე. ცოტნე. სიძე ამირან ჭანტურია, სიდედრი თამარა. ცოლისძმა აბო. ცოლისდები: გულნარა, რაია ჩაგინავები. დისშვილი ენვერი. ძმისშვილები გულვერი. გიული. მზიური. იზა ახლო ნათესავები იუწყებიან

**ადიკო ბიკენტის ძე ქარდავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2. 3 აგვისტოს. დაკრძალვა 4 აგვისტოს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება წყალსადენის ქ. 17, 18 საათზე.

---

შვილი ჟუჟუნა, და გრაფი. რძლები: ხელი ძაძულია, ლამარა ბაგათელია, მაია აბშილავა, დარიკო გულია, შვილიშვილები: გია, აზა. ნაზიბროლა, როლანდი, თენგიზ ფარცვანიები, მიმოზა გეთია, რომანი, ნინო. ჟანა გაბეჩავები. სიძეები მეგონა პაჭკორია, მურთაზ ყორშია, ზური სორდია, კარლო თოლორაია. მაზლიშვილები: მამია, მარგო ფარცვანიები. დისშვილი ჯემალ ფიფია, ძმისშვილები: გენადი, ასტომა, კუკური. გურამი, ნანული, ნუგზარი. კაკო მიქავები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლგა უტუს ასული მიქავა-ფარცვანია.**

პანაშვიდი 2, 3 აგვისტოს. დაკრძალვა 4 აგვისტოს სოფ. ანაკლიაში.

---

მეუღლე ვალენტინა, შვილები: ოთარი, დემური, გული, ლიანა. თონარა, ნანული, ინეზა. ქეთო, რძლები: ციალა, მარინა, სიძეები ჯუმბერი ნაყოფია, ოთარი მოსია, სანველი ანთია, ჯემალი შარტავა, შვილიშვილები: ელგუჯა. ფატიმა. ეკა. ხათუნა ნაყოფიები, ნონა, გია, გივი. გელა ჭურღულიები. მამუკა. ხათუნა. მანანა. მალხაზი ფიფიები, ნატო. კობა. ლალი, კახა მოსიები. ირინა. კახა. ლაშა. ონისე. მაია. თენგიზი ბულიები, დათო, გოჩა, ხვიჩა ანთიები. ალიკა. მარიკა შარტავები. დები: ლაშა. ლიდია. დისწულები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნიკოლოზ (კოლია) მიხას ძე ბულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2, 3 აგვისტოს. დაკრძალვა 4 აგვისტოს კორცხელში.

---

მეუღლე გოგოლა, შვილები: ჯუმბერი, ჯემალი. რევაზი, დები კლარა. კლავდია, სიძე მურმან ჭითანავა, ძმები: კოტე: კარლო, კლიმენტი. მურადი. კოკი დავითაიები, რძლები მარინე წყაროზია, მანანა ჭაბუკიანი, ლიანა. გალია. ვალია, ლუბა, თინიკო, ქეთო, ძმისშვილები გენო, ჯამბული, დემური, ვახტანგი, ხვიჩა, ლარისა, მარინა დავითაიები, დისშვილები: ზენიტა, ირმა, გოჩა, ია, მამიდაშვილები ნორა, ბონდო კეიდიები, ბიძაშვილები: გურამი, სულიკო. თინიკო დავითაიები, ცოლისძმა ჟორჟი ტაბაღუა, ცოლისდები: ცოცო, ნორა, შურა, ლალული ლატარიები, ქვისლები: ნექტარი ქვარაია, რემა გვილია, მზახლები: ელისო, ტარიელი წყაროზიები, ნათელა ჭაბუკიანი იუწყებიან

**ნიკოლოზ (კალია) დომენტის ძე დავითაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3, 4 აგვისტოს. დაკრძალვა 5 აგვისტოს დარჩელში.

---

მეუღლე ლუარა, შვილები: ნინო, ნანა, ხანა. პაატა. და თინა. დისშვილები: ალმედა. ლუდმილა, ნუგზარი აფაქიძეები, დეიდა ლიდია, დეიდაშვილები: ტენტუ ფანცულაია, ქვათი, ტუსია ფირცხელავები, ბიძაშვილები: ნოდარი, თამაზი ჩიმაკაძეები ცოლისდა ჯულიეტა, ცოლისძმა გერონტი ლუკავა, რძლები: ნინო, დოდო. ლუარა. სიძეები გელა სანთელაძე. ნიკო ბოკუჩავა. ქვისლი ბოჩია კალანდია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შოთა პლატონის ძე ჩიმაკაძე.**

პანაშვიდი 1, 2, 3 აგვისტოს. დაკრძალვა 4 აგვისტოს. ზუგდიდში. გამოსვენება რუსთაველის ქ. 102.

---

მეუღლე ელგუჯა ბულია, შვილები: ირაკლი, ია, დედა ძაბული, მამა ლუდა, და ელისო, ძმები: ტარიელი, ნუგზარ კოდუები. ბებია დუშა, დედამთილი. გონა. მამამთილი თალიკო, მაზლი ელდარი, მული ხათუნა. სიძე ლოთი თოდუა, მამიდები გოგუცა, ნარგიზა, ბაჩუა, ციალა კოდუები, ლილი, ვარდიკო ბულიები, დეიდა შუშა მატუა. ბიცოლები: ნათება, ვალენტინა, ქუჩუჩი, ლიმო, ზინა. ბიძები ლუბური კოდუა. არდევანი, რადი მატუები, გვანჯი როსტობაია, შოთა ლომაია. პალიკო მესხია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ელიკო ლუდას ასულ კოდუა-ბულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2, 3 აგვისტოს. დაკრძალვა 4 აგვისტოს. გამოსვენება სოფ. რუხიდან დღის 4 საათზე დაკრძალვა სოფელ დარჩელში კიროვის უბნის სასაფლაოზე.

---

დედა ლამარა. და დოდო. ძმები ჯონი. ხვიჩა. გოჩა. რძლები: ეთერ ჯიქია. გენდო კაკულია, სიძეები: სერგო ბუკია. ვალიკო ბიგვავა. დისშვილები: დათო, ზურაბი. ძმისშვილები: მარინე. სერგო. ბიძები: შოთა, მიშიკო ქადარიები, პალიკო დარასელია, ბიცოლები ფუფული შამუგია, ცისანა დგებუაძე. ნაზო შენგელია. დინარა გოგოხია, მამიდები: ლეილა, ქეთო. მარო ქადარიები. ბიძაშვილები: რამაზი. რევაზი. რუსიკო. ნაზო. გიზო. ზაზა. ელისო. კახა. კობა ქადარიები. რომეო. ტრისტანი. ბადრი დარასელიები. მამიდაშვილები: მერაბი. ნონა. ლალი. რუსუდანი ქარდავები, დათო. მელორი. ტანგი ბიგვავები იუწყებიან

**გოგი სერიოჟას ძე ქადარიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2, 3 აგვისტოს. დაკრძალვა 4 აგვისტოს 19 საათზე ახალაბასთუმანში.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის— 2-35-69, პასუხისმგებელი მდივნის [illegible] 06 სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21-78 მშრომელთა წერილების —2-25 12, რადიორედაქციის —2 47 08

[illegible] ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3513